წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   [illegible] № 76.   პარასკევი დეკემბრის 1 (13)

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი
თვიურათ
ორი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი
პირველ გვერდზე პეტიტის [illegible] 2
უკანასკნელ გვერდზე . . . 5
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადების [illegible]
უმეტეს ხაზი გამომცემლისა, ნაშუადღევის 1 საა.
8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თვილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 189   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 189

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დავით ივლიანის ძე სურგულაძე უდროოდ დაობლებული შვილები [illegible] და საშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველის მეუღლისა და [illegible] უსაყვარლესი დედისა.

**ანნა (ანიჩკა) სურგულაძისას**

პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე, კაზაკოვის ქ. კეზევაძის სახლიდან გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე,

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ვასილი, კონსტანტინე, ვლადიმერი, ნიკოლოზ და დავითი ალექსანდრეს ძენი ნემსაძენი და რძლები ფატუ და [illegible] ნემსაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველთა საყვარელ და დაუვიწყარი დისა და უკანასკნელთა ძვირფასის მულის

**ანნა (ანიჩკა) სურგულაძისას.**

პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშუადღევის 5 საათზე, კაზაკოვის ქ. კეზევაძის სახლიდან გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 3 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

---

გულ დამწვარნი ჭირისუფალნი მართა, ტარასი, ვლადიმერ და რაჟდენ ლუკას ძენი, ლუბა, ლუბა, დარიკო და ევა ლუკას ასულნი შალამბერიძეები და სონია ფხაკაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელი შვილისა, მეორენი ძმისა, მესამენი მაზლისა და მეოთხე ძვირფასი ბიძისა

**არჩილ ლუკას ძის შალამბერიძისა**

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას სამს ქრისტეშობისთვეს საკუთარ სახლიდან ნაშუადღევის 1 საათზე. დაკრძალვა მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დავით მიხეილის ძე შარაშენიძე, მშობლები პავლე და მატრონა გოგიაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, რომ კვირას 3 დეკემბერს, დილის 10 საათზე, საფიჩხიის საზოგადო სასაფლაოს ეკლესიაზე, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

**ლიუდმილა (ლიუტა) გოგიაშვილის ასულის შარაშენიძისას**

სულის მოსახსენებლათ.

---

ქვრივი ევა ლუკას ძე და ასული გრიშა მარუსია, ჩიტო, ჟორჟიკა. სერგო ალექსანდრა და ბაბილინა ლუკას ძე ჭეიშვილის გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას უძვირფასესის პირველი მეუღლის, მეორენი მამისა, მესამენი ძმისა მეოთხენი მაზლისა,

**კირილე ლუკას ძე ჭეიშვილისას**

დაკრძალვა მოხდება დეკემბრის ორს შაბათს მესამე ალექსანდრეს ქუჩა, შუადღის 12 საათზე, მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ქვიტირში.

---

ქალაქის თეატრი. პარასკევს, პირველ დეკემბერს, 1917 წელს **კოტე ფოცხვერაშვილის** გამგეობით და ქართული რაზმის, სამუსიკო გუნდის მონაწილეობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართული სამხედრო მუსიკის

## სანიმუშო კონცერტი

[illegible] საკონცერტო პიესათა შორის და [illegible] გარდა შესრულებული იქნება პირველად საქართ[illegible] კ. **ფოცხვერაშვილის** ახალი ქართული სამხედრო მუსიკის ნიმუშთა თხზულებანი:

**ქართული ეროვნული ჰიმნი**
**ქართული სამხედრო საგალობელი.**
და **ქართული ხარევოლუციო** და **საზეიმო მარში.**

ბილეთები ექვსი მანეთიდან [illegible] შაურამდე [illegible] იყიდება [illegible] კასაში [illegible] 50 პროც. [illegible] ქართული [illegible] საკონკურსო თინხისათვის. [illegible]

---

ქ. ჭიათურა. საკრებულო დარბაზი. შაბათი, 2 დეკემბერი 1917 წ.

**გაიმართება დიდი**

## ეროვნული საღამო.

პირველი. **საკონცერტო განყოფილება.**

1. გურულ მომღერალთა გუნდი ჩაქურებში ს. ჩავლეშვილის. მონაწილეობით.
2. მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე.
3. სანდრო კავსაძე თავის გუნდით.
4. მომღერალი ქალი კაპელლა.
5. ტრიო—გამრეკელოვები.

მეორე. **სალიტერატურო განყოფილება.**

ია ეკალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ალ. თორაძე, ილ. ძლენტი, იუმორისტი გ. ნუცუბიძე, მსახიობნი ი. აპტალიძე და სხვ.

მესამე. **ქართული ნადიმი** ✕✕ მეოთხე, **ცეკვა ეროვნული და ევროპიული.**

პრიზები საუკეთესო ეროვნულ მორთულობისათვის და ეროვნულ ცეკვისათვის. სპარსული ყავახანა, იაპონური სახლი, ლატარია, ბედნიერების ყუთი, აუქციონი და სხვა მრავალი გასართობი.

**დასასრულ ვახშამი.**

[illegible] ქართული პოლკის მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. ერ. დემ. პ. ჭიათურის კომიტეტი.

---

1917 წ. 3 დეკემბერს, დილის 11 საათზე, [illegible] დარბაზში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი [illegible] განყოფილების წევრთა

## საგანგებო საერთო კრება

მთავარ საზოგადოების კრებაზე რვა დელეგატის ასარჩევად.

---

## ეროვნული მთავრობა.

აღელვებულ ზღვაში მიტოვებულ უიალქანო გემს მიაგავდა საქართველო 120 წლის განმავლობაში.

არ იყო ერთი შენაწევრებული ძალა, რომელიც მთელ ერს გაუძღვებოდა. შინ და გარეთ ყველა უპატრონოს გვიწოდებდა და ერათ არავინ გვცნობდა. ნოემბრის 19-ს, ქართველ ერის საუკეთესო შვილებმა დაამსხვრიეს სიმახინჯის შენობა, შესდგა საქართველოს ეროვნული საბჭო და მან უკვე დაარსა ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი.

ეს ისტორიული მოვლენა ყოველ ქართველს სიხარულით აღუვსებს გულს, მაგრამ აღტაცება და სიხარული ჯერ ნაადრევია

საოცარის სისწრაფით იცვლება პირობები.

**რეალი ძალა** ამ ჟამათ მთავარ როლს იკუთვნებს.

საზარი სისხლის ღვრა გაიმართა ყუბანის ოლქში ინგუშები და ყაზახები ერთმანეთს ჟლეტენ. ფრონტიდან წამოსული ლაშქრის ორი პოლკი სტავროპოლის გუბერნიაში სოფელ ქალაქს მოედო და აწიოკებს.

როდესაც ცეცხლი გაჩნდება შინ, მაშინ უდიდესი საფრთხილე მართებს კაცს.

ვინ უწყის ხვალ ჩვენ არ მოგვიდება საერთო საშინელება.

უძლურნი, ღარიბნი და უორგანიზაციონი სტიქიის მსხვერპლი გავხდებით.

ამიტომ არის, რომ გვჭირია შეუჩერებელი მუშაობა, ორგანიზაცია, წესრიგი. დისციპლინა. ქართველ ხალხს არ შეუძლია დღეს გულუბრყვილო იყოს.

ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტის მოვალეობაა გზა უჩვენოს თავის ხალხს. საშუალებები აღმოუჩინოს, და ყოველგვარათ უხელმძღვანელოს.

თავის მხრით მთელ ხალხის ვალდებულობას შეადგენს დაუყოვნებლივ შეასრულოს განკარგულებანი ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტისა შეასრულოს მის ყოველგვარი მოთხოვნილება და ამით კი შეიქმნება საფუძველი მტკიცე ეროვნულ გამგეობისთვის.

ვისაც არ უგრძვნია ახლა უნდა იგრძნოს, რომ საქართველო ამიერიდან თავისთავის მოვლას კისრულობს.

რის გამოც მას დღეს გაცილებით მეტი შრომა და ენერგიის გამომჟღავნება სჭირია.

მომენტი მოითხოვს ყოველ დარგის ქართველთა ერთად შეკავშირებას და ერთად ეროვნულ მიზნისთვის ამოძრავებას.

ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც ძალადობის წყალობით, ცხრამთასიქით ღვრიდენ სისხლს ამიერიდან უბრუნდებიან მშობლიურ ქვეყნის სამსახურს. ქართული ლაშქრის თავის მოყრა მისი ორგანიზაცია სხვადასხვა სურსათით უზრუნველყოფა უპირველესი მოთხოვნილება არის და მისი შესრულება ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ერთნაირად ევალება ქართველ მშრომელ ხალხსაც.

ქართველი ფინანსისტები და შეძლებულები მოვალენი არიან ეროვნულ აღმასრულებელ კომიტეტს თავის დარგში თანამშრომლობა გაუწიონ.

რაც მოხდა, ის დასაწყისია, ჩვენი განთავისუფლებისა, გასავლელია კიდევ გრძელი ნარეკლიანი გზა.

ჩვენი სურვილის განაღდებამდე ჯერ დიდი მანძილია.

არსებობა ჩვენი ბეწვზე ჰკიდია.

ჩვენი თქმა არის შევერთდეთ. შევკავშირდეთ, გამოვფხიზლდეთ და უბედურებას გაერთიანებულ ძალით შევეგებოთ.

ირ—დი.

## ზავის გარშემო.

### ზავი გერმანეთთან

დროებით ზავზე მოლაპარაკება, ერთი კვირით შესწყდა. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო მოქმედება არ იქნება. გერმანეთი კატეგორიულად მოითხოვს ორივ მხრივ ჯარის გადაყვან-გადმოყვანის თავისუფლებას. მან დაიჩინა უფლება შესწყვიტოს მოლაპარაკება, თუ გამოირკვა, რომ სახალხო კომისრების საბჭო ერის ნების ყოფას არ გამოხატავს.

**პარლამენტები მაკენზენთან.**

სამხრეთ დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალმა მაკენზენსა და ერცჰერცოგ იოსებს პარლამენტერები გაუგზავნა. მთავარსარდალი იუწყება: დროებით ზავი სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა ფაქტიურად განახორციელოთ.

**მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზები.**

ბრესტლიტოვსკიდან [illegible] მიუღიათ: დელეგაციის წინადადება: მოლაპარაკების გაგრძელება პსკოვში გადაიტანოთო—გერმანელებს არ შეუწყნარებიათ. ტროცკიმ ტელეგრაფით სთხოვა კიულმანსა და ჩერნინს დახმარება აღმოგვიჩინეთ მოლაპარაკების საქმეშიო. სმოლნში ეხლა მეტად დაღონებულნი არიან ამბობენ გერმანელებმა ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ ბოლშევიკები იძულებულნი იყვნენ გერმანელებისათვის ისეთი მიუღებელი მოთხოვნილება წაეყენებინათ, როგორიცაა მოონ. ზუნდის გაწმენდა. ეს კი იმიტომ, რომ მოლაპარაკება შეეწყვიტათ.

**დროებითი ზავის ხელშეკრულება.**

**იასსა.** ნოემბრის 27. შჩერბაჩევი იტყობინება: ნოემბრის 26-ს **23**-საათზე და 30 წუთზე იაფოკშანში [illegible] მოვაწერეთ დროებით ზავის ხელშეკრულებას, რომლის პირობებსაც შემდეგ [illegible] გბრძანებ, რომ მტერის ფრონტ[illegible] რიდან მოყოლებული დუნაის [illegible] ამდე, შესწყდეს ყოველგვარი [illegible] მოქმედება.

## ბოლშევიკების დიქტ

### კერენსკის წერილი.

პეტროგრადში კერენსკისაგან [illegible] იგი უარჰყოფს იმ [illegible] მას თავისუფლება მოეხსნა [illegible] რობის შემდეგ [illegible] კერენსკი აცხადებს, რომ [illegible] მიერია.

**ფინლიანდის საქმეთა მინისტ[illegible] გადადგომა.**

ფინლანდიის საქმეთა მინისტრი ენკელი გადადგა, რადგან რუსეთში არსებულ მთავრობასთან მუშაობა ვერ შესძლო.

**მიხეილ ალექსანდრეს ძის განცხადება.**

დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძეს განუცხადებია, რომ მას ავადმყოფობა და აგრეთვე სხვა და სხვა მიზეზები აიძულებენ, ტახტზე უარი განაცხადოს.

**გენ. შჩერბაჩოვი და კრილენკ**

გენ. შჩერბაჩევმა თავისი თავი რუმინეთის ფრონტის მთავარსარდლად გამოაცხადა. მისი ლაშქარი კრილენკოს მთავარსარდლად არა სცნობს. გენ. შჩერბაჩევი უკრაინის რადასთან თანხმობით მოქმედობს.

**მოსკოვში რკინის გზის კავშირი.**

ხმებია, ბოლშევიკებს სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის დათხოვნა განუზრახავთო. კავშირის წევრები დაჭერას ელიან. კავშირს გადაუწყვეტია, გამოაცხადოს სრულიად რუსეთის რკინის გზის გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ მას დაითხოვენ გაიფიცებიან აგრეთვე საზოგადოებრივი და სამთავრობო დაწესებულება და ბანკები.

**პროვინციაში ბრძოლა კორნილოვის ეშელონებთან.**

ხარკოვიდან იტყობინებიან: გიორგობისთვის 25-ს ბელგოროდთან ბოლშევიკებს კორნილოვის ეშელონებთან დიდი შეტაკება მოუხდათ. მრავალია დაჭრილ-დახოცილი. ბელგოროდის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის ცნობით, ბოლშევიკებმა დამკვრელი ბატალიონების პირველი ეშელონი დაამარცხეს, მაგრამ მათ ხუთი ეშელონი მიეშველა და სასტიკად შეუტიეს ბოლშევიკებს, რითი დათავდა მეორე ბრძოლა, არავინ იცის. კრილენკო ბელგოროდში ჩავიდა. ხარკოვში ჩამოვიდა დამკვრელ ბატალიონის ერთი ჯარისკაცი, რომელმაც განაცხადა, რომ კორნილოვი ეშელონებთან არ არის. დამკვრელი ბატალიონები კავკასიაში მიდიან, ეს დუხონინის უკანასკნელი [illegible] გომელში ეშელონებს სრულად [illegible]

**კორნილოვი და კალედინი.**

სრულიად რუსეთის რკინის გზის კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] კორნილოვი [illegible] ჩეიკავსკი, უმაღლესი ჯარისკაცის სახით გამოწყობილი ჩაცუდა. მთელი გზა მას უდოკუმენტოდ გაუვლია. უმგზავრია მე-3 კლასის ვაგონით. კორნილოვის ეშელონები, რომელშიაც შედიან ტეკინელები, დამკვრელები და ოფიცრები სულ 10 ათას კაცამდე რკინის გზით დონისკენ მიემგზავრებიან.

**ნიკოლოზის დასაცავად.**

ტობოლსკში ნამეფარის დასაცავად გაიგზავნა წითელგვარდიელების და მეზღვაურთა რამდენიმე რაზმი.

**ებრაელების დარბევა**

გალიჩში (კოსტრომის გუბ) დიდი დარბევა მოხდა. დარბევამ იუდოფობური ხასიათი მიიღო. ებრაელებს სცემდნენ და თან ეუბნებოდნენ: „აი ეს თქვენ ტროცკისა და ნახამკესის მაგიერო". არის რამდენიმე მოკლულიც. დარბევის დროს ებრაელების დუქნებს ცეცხლი გაუჩნდა, ქალაქის ნაწილი გადაიწვა. ქალაქი თეთრ გვარდიამ დაამშვიდა.

# დამფუძნებელ კრების გარშემო

**ბურჟუაზიის წარმომადგენლთა წინააღმდეგ**

ვაჭრობის სამინისტროს კომისარმა ლარინმა წინადადება შეიტანა საბჭოში, რომლითაც იგი მოითხოვს კადეტების და საერთოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლთა დამფუძნებელ კრებიდან განდევნას. ლარინი საბჭოს საყოველთაო აგიტაციის გაწევას ურჩევს. ლარინის აზრით უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ დამფუძნებელ კრებიდან კადეტების განდევნა ხალხის [illegible] ყოფას ხატავდეს.

**კრების გადადება**

[illegible] კომისრების საბჭოს განუზრა[illegible] [illegible] იმით, რომ გიორგიევის[illegible] [illegible]სათვის პეტროგრადში დამფუძ[illegible] [illegible] ყველა წევრები ვერ გამო[illegible] და კრება ან იანვრის 15 [illegible] [illegible]ტამდე გადადოს.

**[illegible]ის წევრთ დაპატიმრება**

[illegible] კრების საარჩევნოდ შემ[illegible] [illegible] წევრები ჩვენება ჩამოარ[illegible] [illegible] ბოლშევიკ ვექილებმა კრასხოვმა და [illegible]ბლოვსკიმ. კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი სახალხო კომისრებს არ სცნობდნენ.

**მოსკოვის არჩევნები**

დამფუძნებელ კრებაში კადეტებმა გაიყვანეს: კოკოშკინი, მაკლაკოვი, ასტროვი და ნოვგოროდცევი; ბოლშევიკებმა: ლენინი, სკვორცოვი, ბუხარინი, იგნატოვი და [illegible]მანი; სოციალისტ-რევოლუციონერებმა რუდნევი.

# ეროვნული კითხვა

**ყირიმის გამოყოფა**

ოდესიდან იუწყებიან: რუმინეთის და შავი ზღვის საოლქო დეპუტატთა საბჭოს განუცხადეს, რომ ყირიმელი თათრები რუსეთიდან ყირიმის გამოსაყოფად აგიტაციას ეწევიან. მათ კავშირი ჰქონიათ ოსმალეთთან. [illegible] ჩავარდნიათ მიწერ-მოწერა ყირიმის ოსმალეთთან შეერთების შესახებ.

**[illegible] ყრილობა**

[illegible] ყრილობის უკრაინულ წევრებმა [illegible] საკითხი, რომელთაც სურთ, რომ [illegible] ეკლესია საკუთარ მართველობის ქვეშ იყოს. აპირებენ [illegible] ხაკლესიო ყრილობის მოწვევას და [illegible] პატრიარქის არჩევას.

**საკავშირო [illegible]ტის წოდა კომისართა საბჭოსადმი**

[illegible] [illegible]ტმა საოლქო [illegible] და [illegible] პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა ნოტა, რომელშიაც [illegible], რომ [illegible] [illegible] რუსეთის ცენტრალ[illegible] [illegible] საერთო დემოკრატიულ [illegible] და დამფუძნებელ კრების [illegible] მოწვევის ნიადაგზე. [illegible] პეტროგრადს ფულის [illegible] მოუწყოს, თორემ [illegible] და [illegible] უკრაინის სა[illegible] [illegible].

# [illegible]ზეთებიდან.

**[illegible] [illegible]ის გაქცევა.**

[illegible]

[illegible] კომისრის [illegible] კორნილოვი შაბლოვსკის [illegible] „[illegible]" გამოუშვიათ. ქ. ბიხოვის კომენდანტთან მისულა ოფიცერი გენერალური შტაბის ოფიცრის ფორმაში და გადაუცია კომენდანტისთვის კონვერტი, რომელშიდაც გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარის შაბლოვსკის ხელმოწერილი განკარგულება ყოფილა ტყვეების განთავისუფლების შესახებ. კომენდანტს ტელეფონით უცდია მთავარ სარდლის ბანაკში ცნობა დაედასტურებია, მაგრამ ტელეფონის უვარგისობით მიზანს ვერ მიაღწია. კომენდანტს განკარგულება სისრულეში მოუყვანია, ამის შემდეგ ტეკინის პოლკის ოთხასი კაცი. საომარი მასალებით კორნილოვს შეერთებია.

**ბეჭდვითი თავისუფლების დაცვა.**

ბეჭდვის თავისუფლების დასაცავათ და მის მოწინააღმდეგესთან საბრძოლველათ პეტრეს ქალაქში შედგარა პროფესიონალური კავშირი რედაქტორებისა წიგნის გამომცემლებისა და სხვა პირებისა.

**დამფუძნებელ კრების არჩევნები.**

ეკატერინოსლავში ყველაზე მეტი ბოლშევიკები გასულან, შემდეგ კადეტები მერე ესერები.

ოდესაში ებრაელების „ბლოკს მიუღია" 47,786 ხმა ბოლშევიკებს-45232, კადეტებს 28,085 ესდეკებს მენშევიკებს და ბუნდის კავშირს-7,820, ესერებს და გლეხების დეპუტატების კავშირს-12503. ტამბოვის გუბერნიის ცხრა ქალაქში 71.600 ამომრჩევლიდან კადეტებისთვის ხმა მიუცია—23000 კაცს, ბოლშევიკებისთვის—29.000 ესერებისთვის—13600 მენშევიკებისთვის—10000.

კოვროვში—ბოლშევიკებმა მიიღეს—2100 კადეტებმა 1200 მენშევიკებმა 700 ესერებმა—600.

ხოლმოგორსკში და შენკურსტში კადეტები ბევრათ სჭარბობენ დანარჩენებს [illegible] [illegible] ესერები და მენშევიკები.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

**მოხსენება ვ. წერეთლისა და ტრ. ჯაფარიძისა** 29 ნოემბერს, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში ვ. წერეთელმა და ტრ. ჯაფარიძემ მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს ეროვნულ ყრილობის შესახებ. ორივე მომხსენებელმა დაასურათხატეს, თუ როგორი შეთანხმებითა და ერთსულოვნებით ჩაიარა ეროვნულმა ყრილობამ. მომხსენებლებმა სთქვეს, რომ ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი (ეროვნული საკითხის შესახებ) განხორციელებულია და ეხლა უნდა ვიმეცადინოთ, რომ პარტიებს შორის გამწვავება არ მოხდეს და ფართო მასაში გავაცნოთ ჩვენი პროგრამა და მისწრაფება. მოხსენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და მოხსენებით კმაყოფილნი დარჩნენ.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ** დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარმა გამგეობამ თავისი სხდომაზე 27 ნოემბერს იქონია მსჯელობა ქუთაისის მესამე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელ მალაქია სირაძის და ზაქარია უზნაძის თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ იმავე სასწავლებელთან არჩეულ სამზრუნველო სასკოლო კომისიის მიერ და დაადგინა: 1) გამოიძიოს დაწვრილებით მათი დათხოვნის მიზეზი, რისთვისაც გამგეობამ აირჩია კომისია, რომელშიდაც შედის 3 წევრი, მასწავლებელთა სასამართლოს თავმჯდომარე ლაზარე შურღაია და წევრი ვ. იმნაძე და ი. თევზაძე და 2) საქმის გამოძიებამდე დათხოვნილ, მასწავლებელთა ადგილები იქმნეს ბოიკოტ ქვეშ.

◆ **ქართული ცხენოსანი „გუსართა" პოლკი.** გადაწყვეტილია, რომ თბილისში დაარსდეს ქართული ცხენოსანი „გუსართა" პოლკი. ცხენოსან „არტილერიაში" ნამსახური ჯარის კაცების შესაკრებათ ამ პოლკისათვის ქუთაისში ჩამოვიდა პორუჩიკი ბ. თუთბერიძე, რომელიც აცხადებს, რომ ვისაც სურვილი აქვს ჩაეწეროს ახლად შედგენილ პოლკში, გამოცხადდეს ქუთაისის მაზრის მხედრობის უფროსის სამმართველოში ყოველ დღე 8 დეკემბრამდის ჩვენ ამ გარემოებას მივაქცევთ [illegible] ჯარისკაცების ყურადღებას, [illegible] ამ პოლკში [illegible] [illegible].

◆ **კონცერტი.** [illegible] ქალაქის თეატრში [illegible] ცისკრიშვილი გამართავს [illegible]ზის სამხედრო მუსიკის სანიმუშო [illegible] შესრულებული იქმნება: ქართული [illegible]ვნული ჰიმნი, ქართული სამხედრო [illegible]ლობელი, ქართული სარევოლუციო [illegible] საზეიმო მარში.

◆ **2 დეკემბერს ქ. ჭიათურაში** საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ჭიათურის კომიტეტი გამართავს ეროვნულ საღამოს. საღამოში მონაწილეობას მიიღებს საუკეთესო ძალები.

◆ **გადასახადი** ქუთაისის ქალაქის მოურავი კალანდარიშვილი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს სხვა და სხვა გადასახადების აკრეფაში.

◆ **უსურსათობა.** ქუთაისში სოფლებიდან სურსათ-სანოვაგე აღარ შემოდის, არც საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს მოსდის ჩრდილოეთ კავკასიიდან სურსათი, რის გამოც მცხოვრებნი გაჭირვებას განიცდიან.

◆ **სახელმძღვანელო.** მიხეილ რომანის ძე ჩიჩხალაძემ უკვე შეადგინა ლათინური ენის სახელმძღვანელო გრამატიკა ეთიმოლოგია და სინტაქსი და გამოსაცემათ გადაეცა „განათლების" საზოგადოებას.

# ქუთ. ქალაქის საბჭო.

28 ნოემბერი.

თავმჯდომარეობს ივ. გობეჩია.

**წარმომადგენლის არჩევა კავკასიის ქალაქის წარმომადგენლების მეექვსე ყრილობაზე დასასწრებლათ.**

ქალაქები ამ ყრილობაზე გასაგზ[illegible] ყოველ 20 ხმოსანზე ირჩევს 1 წარმ[illegible]გენელს. ქუთაისს უფლება აქვს გ[illegible]ნის 3 წარმომადგენელი. მაგრამ [illegible] გამოითქვა, რომ თანხის უქონლობის გამო, ერთი წარმომადგენლის მეტს ვერ გავგზავნითო. წარმომადგენელად არჩეულ იქმნა ქალაქის მოურავი. დ. კალანდარაშვილი.

**ქალაქის მუშების მოთხოვნილება.**

გამგეობამ წარმოადგინა თავის მოხსენება ქალაქის მუშების და სხვა მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შესახებ. მოხსენებიდან ნათლად სჩანს თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ქალაქის კასა, ნავარაუდევი შემოსავალი თვიურად ქალაქს ჰქონია 26,000 მანეთი, გასავალი კი მხოლოდ ჯამაგირებში 32,000 მანეთი. მიუხედავათ ამისა, გამგეობამ მაინც სასურველად დაინახა მოემატოს თვითოეულს 15-დან 30 მანეთამდის და მიეცეს ყველას 5 წლიური.

ხმოსნები ყველა თანახმაა, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს ჯამაგირები მოემატოსთ. **ვ. წერეთელი.** თვითმართველობის მოსამსახურეთა სახელით აცხადებს, რომ დაცულ იქმნეს თანასწორობა და რომელიმე დარგის მოსამსახურეებს პრივილეგიებს ნუ მიანიჭებენ. მას სხვა ხმოსნებიც მხარს უჭერენ. კამათის შემდეგ დაადგინეს, რომ გამგეობის წამოყენებულ პროექტის მიღებით მოსამსახურეებს თვითეულს კიდევ მოემატოს თვიურათ 20 მანეთი, ამ ხარჯების დასაკმაყოფილებლათ გამოითქვა ის აზრი, რომ შემოიღონ ქალაქში სხვა და სხვა გადასახადები, როგორც გაზიდულ და შემოზიდულ საქონელზე, გადასახადი შემოსავლობის კვალობაზე და სხვა.

მათ მომატებული ჯამაგირები მიეცემათ 1 ნოემბრიდან.

**აფთიაქში მომუშავეთა შესახებ.**

როგორც ვიცით აფთიაქის მოსამსახურეები შედარებით სხვა მოსამსახურეებთან დიდ ჯამაგირებს ითხოულობენ. ამან გააკვირვა ბევრი ხმოსანი. გრ. გველესიანი იგონებს ვასილ წერეთლის განცხადებას და ამბობს რათ უნდა ჰქონდეთ აფთიაქის მოსამსახურეებს პრივილეგია სხვა მოსამსახურეებთან შედარებითო. ქალაქის გამგეობამ ამ საკითხის შესახებ ასეთი წინადადება შემოიტანა; ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს ამ საკითხს და შემდეგ წარმოგვიდგენსო. წინადადება მიღებულ იქმნა კომისიაში აირჩიეს: ქ. წერეთელი, კოსტავა, შავგულიძე ა. გაფრინდაშვილი და დ. დოლიძე.

**მილიციის საქმე.**

ქალაქის მოურავი აკეთებს მოხსენებას. იგი ამბობს, რომ მილიცია უნდა გადახალისებულიყო და ძველები გაეშვა, მაგრამ დღემდის ვერ მოვახერხეო. ძველი მილიციონერებისათვის კი ვერავითარი პასუხი ვერ მიგვიცია. რამდენჯერმე გამოგზავნეს იმათ დელეგაცია, მაგრამ დღემდის მათი მოთხოვნილება ვერ დავაკმაყოფილეთ. რადგანაც ჩვენ მათ ყურადღება არ მივაქციეთ, ისინი გაიფიცენ დღეს დილით. არც ერთი მილიციონერი არ გამო[illegible]. მაგრამ ვიშოვეთ სესხი და ჯამაგირი მივეცით, მათ გაფიცვა მოხსნეს, მაგრამ ეს არ კმარა, ისინი თხოულობენ, რომ მომატებული ჯამაგირები მიეცესთ 12 ოქტომბრიდან, რაც ჩვენ აუცილებლათ უნ[illegible] [illegible]მაკუთვნოთ.

ქალაქის მოურავის წინადადებას საბჭო იწყნარებს

**არჩევნები ქალაქის მოურავის მოადგილისა.**

როგორც ვიცით ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. ბასილაძემ სამსახურს თავი დაანება. ასარჩევია მის მაგივრად [illegible].

ალ. გაფრინდაშვილი (ს. რევ.) აცხადებს, რომ ჩვენი ფრაქცია მოურავის მოადგილის თანამდებობაზე ასახელებს ქალაქის გამგეობის წევრს ი. თევზაძეს და თევზაძის ადგილზე კი ბ. მოსიძესო.

ამ კანდიდატებს კენჭს უყრიან. კენჭის ყრით ორივე კანდიდატი გადის. ამ რიგათ მოურავის მოადგილეთ არჩეულია ი. თევზაძე და გამგეობის წევრათ ვ. მოსიძე.

**სადორიის აგარაკის სახნავ-სათესი ადგილების იჯარით გაცემა.**

სადორიის აგარაკის სახნავ სათესი ადგილების იჯარით გაცემის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობა. გამგეობაში დიდ ძალი თხოვნები შემოდის ამის შესახებ. გამგეობის აზრით ადგილები საჯარო ვაჭრობით არ უნდა გაიცეს, არამედ [illegible] და [illegible] [illegible] მისამართის მხოლოდ სახ[illegible] [illegible]ისა და არაფერი ზედ არ უნდა [illegible].

ალ. გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ ღარიბ მუშებს ესაჭიროებათ იჯარით კი არა უფასოთ მიეცესთო.

საბჭო გამგეობის მოხსენებას ღებულობს.

**ფულის [illegible] შეკრების და საღამოს გამართვის შესახებ.**

ქალაქის მოურავი მოხსენებას აკეთებს, რომ ქალაქში დიდძალი ლტოლვილები იმყოფება, რომელნიც დახმარებას თხოულობენ, მაგრამ სახსარი არა გვაქვსო. ამისთვის საჭიროა გავმართოთ საღამო და ყულაბებით ფულის შეგროვება. საბჭომ მოხსენება მოიწონა და დაადგინა საღამოს და ფულის შეგროვება მოეწყოს 8-ს და 9 დეკემბერს. გარდა ამისა სთხოვონ ადგილობრივ კინემატოგრაფის პატრონებს ერთი დღის შემოსავალი ამ მიზნისათვის გადადვან.

**უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები**

ახალი კანონის ძალით უმაღლესი პირველი დაწყებითი სასწავლებლები გადადის ქალაქის თვითმართველობების ხელში ამის გამო ქალაქს უნდა აერჩია კომისია, რომელიც ხსენებულ სასწავლებლებს ჩაიბარებდა. მაგრამ საბჭომ სასურველად არ სცნო აერჩია ახალი კომისია და სასკოლო კომისიას დაავალა, რომ ხსენებული სასწავლებლები ჩაიბაროს.

**ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის არჩევა.**

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ს. გეგელაშვილი წინანდელ კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობის წევრათ. ამ რიგათ ასარჩევია თავმჯდომარის ამხანაგი. ამ ადგილზე საბჭო ერთხმათ ირჩევს გრ. ურატაძეს.

კრება ამით დასრულდა ღამის 12 საათზე.

Z.

# ანარქია იმიერ კავკასიაში.

**ნოემბრის 26-ის მიმოხილვა.**

პირდაპირი მავთულით როსტოვიდან იტყობინებიან, მდგომარეობა უარესდება, თანდათან მწვავე ხასიათს იღებს. რკინის გზებზე მოძრაობა თითქმის სრულიად შესწყდა, რამდენიმე სადგური ცეცხლმა შთანთქა. ნავთის სამრეწველოები, საწყობები სულ გადამწვარია. ძველი [illegible] [illegible] მოელის. სათბობი მასალა ჯერ ჯერობით საყოფია, გროზნოში წესიერების აღსადგენად ჯარი არ არის. ჩეჩნებმა ქ. გროზნის მცხოვრებს ჯარ[illegible] და წითელ გვარდიას ულტიმატუმი [illegible] მოსთხოვეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ანარქიის მოსასპობად. [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] მისულა. სამგზავრო მატარებლები [illegible] [illegible] სამარ[illegible] კენ, სად. [illegible] და თვით გუდერმესს ახლო-მახლო სადგ[illegible] დრო მოქმედება გაძლიერდა. [illegible] გუდერმეს—ხასავიურტის რაიონში [illegible] [illegible] გროზნო მოჭრილია მთავარ [illegible] გუდერმესში [illegible] 1000 [illegible] [illegible] შიშით ვერ მუშაობენ. სამგზავრო მატარებლებმა გუშინ ვერ გაიარეს. დღეს [illegible] ცნობები არ მოსულა.

**აბრეკების მოქმედება.**

ბაქოდან იტყობინებიან, რომ სად. გუ[illegible] ძელისა და სად. ბატაშევსკის შუა აბრ[illegible]თა ძლიერი რაზმები დგანან. ამ რ[illegible]ონში მატარებლების მიმოსვლა შესწყ[illegible]. ჯავშნიანი მატარებელი [illegible] გავიდა.

**მატარებელზე თავდასხმა.**

როსტოვიდან იტყობინებიან, ნოემბ[illegible] 24 სტანიცა ხანკალიდან გამოვიდა მატ[illegible]ელი, რომელიც შესდგებოდა ე[illegible] [illegible] და რამდენიმე დასასვენებ[illegible] [illegible] მოსამსახურეებით სავსე [illegible] გონი. [illegible] მოსცდა თუ არა ხანკალის მატ[illegible]რებელი, [illegible]ტეგამჭრელებმა [illegible] [illegible]. შემდეგ სროლა [illegible] ტეხეს და [illegible]. 6 კონდუქტორი მოკლეს და [illegible] დაჭრეს. [illegible]ნოში ჩაჩნებთან [illegible] განახლდა.

# თფილისის ქალაქის საბჭო.

27 ნოემბრის სხდომაზე [illegible] წაიკითხა რომ [illegible] ცხადება. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სარწმუნოების დასაცავად [illegible] რუს მართლმორწმუნეთა კავშირის [illegible] კავშირს [illegible] აქვს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და ადგილობრივ [illegible] [illegible].

კავშირის წინადადება [illegible] [illegible] [illegible] (ს.-დ.). [illegible] [illegible] საბჭომ [illegible] არ სცნო [illegible] მხოლოდ [illegible] კავშირის განცხადება.

ნ. [illegible] დასვა [illegible] ქალაქის [illegible] მდგომარეობა სურსათის მხრივ.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კომიტეტის [illegible].

ნ. [illegible] შემდეგი განცხადება: [illegible] [illegible] ბოლშევიკების [illegible] [illegible] ქვეშ იმყოფებიან. არის ცნობები, რომ [illegible] ბოლშევიკები [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. იმედით უნდა [illegible] ხვალინდელ დღეს.

ამ განცხადებამ ხმოსნებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რადგანაც სხდომაზე არც ერთი ბოლშევიკი ხმოსანი არ ყოფილა, ამიტომ ქალაქის თავის განცხადებას კამათი არ გამოუწვევია.

## ხელზე მოსამსახურეთა მზარეულთა, ხაზეინების და ბუფეტების მეპატრონეთა საყურადღებოთ.

მზარეულთა და ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი ამით აუწყებს ქუთაისის დიასახლისებს და მეპატრონეთ, რომ 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოხდება მასიური კრება ზემოდ დასახელებულ პროფესიონალური კავშირისა, სასურველია ამ კრებას დაესწროს ყველა ხაზეინი და დიასახლისები, ბუფეტების მეპატრონენი, ვინაიდან [illegible] უნდა დამტკიცდეს საერთო მოთხოვნ[illegible] [illegible] მზარეულთა და ხელზე მოსამს[illegible] [illegible] ხაზეინებისადმი [illegible]. კრება მოხდება ს.-დ. [illegible] პუშკი[illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ხრისტე [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი

[illegible] კვირკველია.

[illegible] „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible], ქუთაისში